# სახალხო გაზეთი

№ 705 კვირა, 23 სექტემბერი 1912 წ. № 705

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადი მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


## კანტორისაგან

1912 წ. პრემია „ბრდღმლის“ მისაღებად უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უპასუხოდ იქნება დატოვებული.**

---

## სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

**მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.**

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

**წლიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.**

**1 ღვინობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 2 მ. და 25 კ.**

**თვეში ღირს — — 75 კაპ.**

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

---

კვირას, 23 სექტემბერს, დიდუბის ეკლესიაში, გარდახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ მასწავლებლის

## ეგნატე მაკარის ძის ხრამელაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს ქვრივი გარდაცვალებულისა **დარია გიორგის ასული**, და გარდაცვალებულისა **სოფიო მაკარის ასული ხუციშვილისა**, ცოლის ძმა ექიმი **ნ. მრევლიშვილი** და სიძე **გიორგი აბრამის ძე ხუციშვილი**. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი 12 საათზე. 1522.

---

23 სექტემბერს, სოფ. ზემო-აკეთის საგვარეულო ეკლესიაში

## აზნ. ასალო ქაიხოსროს ძე გელამის

გარდაცვალების წლის თავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მისი სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს განსვენებულის ქვრივი **სედიფო**, შვილი **ბეგლარ**, რძალი **პისტი**, ძმები: **როსტომ და ყარამან**, **დები** და [illegible] **ნინო**. 685.

---

21 სექტემბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## მარიამ ედიშერას ასული სულთანოვისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, განსვენებულის მეუღლე **ვასილი დავითის ძე**, მამამთილი **დავითი**, დედამთილი **სოფიო**, მული **ბარბარე**, სიძე **იოსები**, დედა **ეკატერინე**, ძმები: **ალექსანდრე** და **ილია**, რძლები: **მარიამი** და **მართა**. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე საკუთარ სახლში (შემახის ქუჩა № 25) გამოსვენება სამშაბათს, 25 სექტემბერს, წმ. მარინეს ეკლესიაში. დასაფლავება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 687

---

გუშინ, 21 ენკენისთვეს, ნაშუადღევის 3 საათზე ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## ვარია მჭედლიშვილი-სულთანოვისა,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა **თეკლე**, ძმები **ალექსანდრე** და **ილარიონ**, რძლები **მარიამ** და **მართა—მჭედლიშვილები**. პანაშვიდები საღამოთი 5 საათზე, საკუთარ სახლში: შემახის ქუჩა, № 31, საღამოზე. დაკრძალვა სამშაბათს, 25 ენკენისთვეს წმ. მარინეს ეკლესიის გალავანში; გასვენება ბინიდან დილის 10 საათზე. 690

---

ქ. გ ო რ შ ი

## ე. თარხან-მოურავის ქალთა სახელოსნო სკოლა

**ამით აცხადებს,**

რომ 20 მარიამობისთვიდან დაიწყო მიღება. 12 წლ. ნაკლები არ მიიღება. 12 წელზედ ზემოდ წლოვანობა განსაზღვრული არ არის. უპირატესობა ეძლევა წერა-კითხვის არ მცოდნეს. აქვე მიიღებიან მოწაფენი ბინითაც. დაწვრილებით პირობების გაგება წერილობით და პირადად. მისამართი: სამეფო ქუჩა, ყრისთავის სახლში № 18. 1491.

---

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

**კვირას, 23 სექტემბერს 1912 წ.** ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ **ვლად. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## გ ა მ ც ე მ ი

დრამა 4 მოქ. ი. გედევანიშვილისა.

**მონაწილეობას ღებულობენ:** ქ-ნნი გოგოლაშვილი, ქიქოძე, ე. ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ქ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, ზარდალიშვილი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ციცი შვილი. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

თეატრის დირექცია დაბეჯითებით სთხოვს ბ. მაყურებელთ ფარდის ახდამდე დასხდნენ თავიანთ ადგილზე, რადგანაც ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში აღარავის შეუშვებენ.

რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**
ქართ. დრამატ. საზოგად. ადმინისტრაცია. 1519.

---

**კ. ი. ზუბალაშვილის სახ. ქალაქის სახალხო სახლი.**

კვირას, 23 ენკენისთვეს 1912 წ. ს. ს. სახლ. არსებული ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება ლ. ანდრეევის ცნობილი დრამა

## „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“

(სტუდენტის სიყვარული) დრ. 4 მოქ. თარგმანი დ. ელიოზიშვილისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ო. ანტონეტა, მარ. გოგოლაშვილი, ა. კახელი **პიერეტტა**, ბ. ტიწელი, ფეიქრიშვილი, ელ. ციმაკურიძე. ბ.ბ. გ. ანაშვილი, არშაკუნი, დ. ზაქრაძე, ბიაშვილი, ნ. გოცირიძე, ალ. მეტრეველი, ვ. მინდიაშვილი, ს. რომანიშვილი, გ. სვანელი, რ. სალაყაია, გ. ფრონე-პირელი, ყარსიმაშვილი, ნ. ჭანკვატაძე, მ. ჭიაურელი, კ. ხახანაშვილი.

ადგილების ფასი 5 კ.—50 კ. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

შემდეგი წარმოდგენა 28 ენკენისთვეს. **რეჟისორი ალ. წუწუნავა.**
**გამგეობის მორიგი წევრი გ. აბელოვი.** 14499

---

**კ. ი. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**

კვირას, 23 ენკენისთვეს მსახიობ **ნიკო გოცირიძის** თაოსნობით გაიმართება

## სალიტერატურო-სამუსიკო დილა.

სამ განყოფილებად.

I. **ილია ნაკაშიძის ლექცია: „ცოლ-ქმრული სიყვარული“.**

II. **სალიტერატურო განყ.**—ში მონაწილეობენ ქართ. **მწერლები**: ი. ევდოშვილი, ი. ეკალაძე, ირეთელი, ქუჩიშვილი, ი. გრიშაშვილი, ახოსპირელი და ცნობილი **მსახიობნი**: ქ. ნ. დავითაშვილი, ბ.ბ. ვლ. შალიკაშვილი, ზარდალიშვილი, ნიკო გოცირიძე და სხ.

III. **საკონცერტო განყ.—ში: ძმ. კავსაძენი. ქ-ნი გერმუტ-მახვილაძისა**, ა. ა. ნემეტტისა; ბ. ბ. პ. ფალიაშვილი, ჩუბინაშვილი, კვერკველაძე, რატიშვილი და სხვანი დაწვრილებით პროგრამაში. დასაწყისი შუადღის 12 საათზედ.

გამგენი: ( **ი. გრიშაშვილი.** ) **გ. ნ. სალარიძე.** 1517.

---

## გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა

ამით ვაუწყებთ ბ.ბ. თამბაქოს მექარხნეებს, რომ როგორც ეტიკეტი ისე სახელები ჩვენის ქარხნის ნაწარმოების, როგორც მაგ.

**პაპიროსი მ ა რ ს ი 20 ც. 5 კ.**

**თამბაქო სურნელოვანი** გირვანქა **1 მ. 84 კ.**

გამოცხადებული გვაქვს ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში და

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი

**ამ წლის 26 ივნისს საქმის №№ 16957 და 16958.**

ამის გამო მათი წაბაძულობით სიყალბის გაკეთება კანონით დაისჯება.

**თ ა მ ბ ა ქ ო ს ქ ა რ ხ ა ნ ა**

**„ძმათა სეილანოვებისა“** 1036.

---

## ღარიბ-მოწაფეთა დამხმარი ტფ. გუბერნიის თ.-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი

ამით აცხადებს, საზოგადოების წევრთა კრება, ნაცვლად იმ წლიურ კრების, რომელიც არ შესდგა ამა წლის 24-ს თიბათვეს, არის დანიშნული **2) ამა თვის დილის 11 ს., სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოში** განსახილველია: 1) ანგარიში 1911 წ. საზოგადოების მოქმედების შესახებ, 2) მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 3) საოჯახო და სამოსწავლო კითხვები 4) მოხსენება გამგე კომიტეტისა წესდების ამა თუ იმ მუხლის შეცვლის შესახებ. 5) ინსტრუქციის გადასინჯვა და ამორჩევა იმ წევრებისა, რომელნიც თავს ანებებენ თავიანთ თანამდებობას ვადის გასვლამდე. 1494.

---

გაზეთ **„თემი“**-ს რედაქცია და კანტორა **გ ა დ ა ვ ი დ ა** ოლგას ქუჩაზე, სახლი დიასამიძისა, № 4.

(5—1521—1)

---

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

იწვევს მსურველთ, ვინც იკისრებს 1913 წ. ქალაქის დაწესებულებათათვის

## ა მ ლ ი ო ს

| | | |
|---|---|---|
| 1) მაზუთი | 142000 | ფუთი. |
| 2) მსუბუქი ნავთი, დიზელის მამოძრავებელთათვის | 15,000 | ფ. |
| 3) დაუმუშავებელი ნავთი | 5000 | ფ. |
| 4) ნავთი | 8000 | ფ. |
| 5) ბენზინი | 400 | ფ. |
| 6) ზეთი ცილინდრ. მიტრებისა. | 4000 | ფ. |
| 7) ზეთი მადნეულისა | 825 | ფ. |
| 8) ქონი მინერალური | 140 | ფ. |

ხელშეკრულობის პროექტებისა, პირობებისა და აუცილებელ ცნობათა გაგება შეიძლება ქალაქის გამგეობის ნივთიერ განყოფილებაში დილის 10—3 საათამდე.

განცხადებანი უნდა ჩააგდონ საგანგებო ყუთში, რომელიც გამგეობის განყოფილებასთან არის ჩამოკიდული.

განცხადებათა წარდგენის ვადა ოქტომბრის ხუთსა. 1515.

---

ტფილისის ქართული **ფილარმონიული** საზოგადოების

## სამუსიკო სკოლა

**გადავიდა ახალ სადგომში** (კორგანოვის ქუჩაზე. ალ. გრ. რჩეულიშვილის სახლში № 6.

**მოწაფეთა მიღება:** ფორტეპიანოსა, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასის სიმღერა (solo), ელემენტარული თეორიის, ნოტების კითხვის (solfeg'o), გარმონიის, ენციკლოპედიისა და გუნდის **კლასებში დაიწყება 27 აგვისტოდან** ყოველ დღე, (კვირა-უქმის გარდა), დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე სკოლის კანტორაში. სწავლის ფასი: ფორტეპიანოსი, ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 65 მანეთი წელიწადში, სკრიპკისა და სიმღერა (solo), 65 და 75 მანეთი თეორეტიულ კლასებში 15 მანეთი წელიწადში სწავლის ფული გადახდილ უნდა იქნეს ნახევარის წლობით.

მასწავლებელთა სია: ფორტეპიანოს კლასში: ქ-ნ მ. ამირეჯიბისა, ნ. კ. ტალაშნიკოვისა. ო. მ. ბერგი-პივოვაროვისა, ე. ვ. ფოგელისა და თ. ს. შაბუროვისა; სკრიპკის კლასში: მ. ნ. ყარაშვილი და მ. ტ. ვასილიევი; ვიოლონჩელის კლასში: ე. ნ. კოპელნიცკი; კონტრაბასის კლ.: მ. ი. შერბოვი; სიმღერა (solo) ე. ბროჯი. თეორიის კლასებში და ნოტების კითხვა ზ. პ. ფალიაშვილი.

ახლად მოწვეულ იქმნენ მასწავლებლებად: პეტერბურგის კონსერვატორია დამთავრებული პროფ. დუბაროვის კლას. თავისუფალი ხელოსანი ელ. გრ. ქიქოძისა და მოსკოვის კონსერვატორია დასრულებული პროფეს. იგუმანოვის კლასში თავისუფალი ხელოსანი ნ. ივ. ბაბასინოვისა

ხმების გასინჯვა, ქალთა და ვაჟთა, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, არსებულ ქართულ გუნდისთვის მოხდება ყოველ დღე 5—7 საათამდე საღამოთი.

პარაკლისი სწავლის დაწყების წ 6 2 სექტემბერს. 1429

---

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება ახლად მიღებული წიგნები:**

| | | |
|---|---|---|
| სამშობლოს აღწერა ს. რობაქიძისა | 50 | კ. |
| ქართ. მოკლე გრამატიკა ნიკოლაიშვილისა | 20 | „ |
| ქართ. გრამატიკა პირველ-დაწყებითი ხუნდაძისა | 20 | „ |
| ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი ზ. ჭიჭ. | 50 | „ |
| თამარ მეფე ს. კაკაბაძისა | 15 | „ |
| წმინდა ნინო მისივე | 15 | „ |
| Черты феодальнаго строя მისივე | 20 | „ |
| სჯულმდებელი ბაგრატ კურატპალატი | 20 | „ |
| სჯულმდებელი ბექას და აღბუღას ვინაობა. მისივე | 15 | „ |
| ვინაობა მესხური დავითნის ქრონიკების ავტორისა. მისივე | 10 | „ |
| Разборъ армазской надписи по фотографическому снимку. | 10 | „ |
| გ. ერისთავის რჩეული ნაწერები | 60 | „ |
| ძუნწი. კომედია მისივე | 5 | „ |
| ამხანაგი დრამა. პეპანოვისა | 25 | „ |
| მართალი ამბავი, გიგაურის ას-სა | 5 | „ |
| მოულოდნელი შემთხვევა. ვოდ. | 15 | „ |
| ქართული გალობა. ლიტურღია. პარტიტურა. ნოტებზე გადაღ. რაჟდ. ხუნდაძისა | 60 | „ |
| ცისკარი. ღმერთი უფალი I ხმა ნოტებზე გადაღ. სულხანიშვილი | 35 | „ |

**ადრესი:** Тифлисъ, О-во распр. Гр. ср гр. насел. 1141.

---

**ს ა ს ტ უ მ რ ო უნივერსალი**

(ძველად „მუხრანის ნომრები“) **ტფილისში, გოლოვინის პროს.** სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათა შუაგულში; ნომრები ახლადაა გადაკეთებული მშვენივრად; დიდად სახერხოა ცოლშვილიანებისათვის. ფაქიზი სისუფთავე, ზრდილობიანი და სხარტი მოსამსახურენი. როგორც კაცები ისე ქალები; ელექტრონული განათება, ცხელი და ცივი ვანები. გვაქვს ორ-ორი და სამ-სამი ოთახი, ფანჯრები და აივანიც ქუჩის მხარეს აქვთ. ნომერი 40 კ.—5 მანეთამდე ღირს დღე-ღამეში, თვიურად 15 მან. 80 მანეთამდე. თვიურ მდგმურებს დიდ შეღავათს ვაძლევთ ქირაში. **ტელეფ. № 499.** 1481

---

შ ე ი ძ ლ ე ბ ა დ ა კ ვ ე თ ა:

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლ ე ქ ს ი და ბ ე ლ ე ტ რ ი ს ტ უ ლ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩვენი მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფ ა ს ი 8 მ ა ნ ე თ ი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.**
**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.**
**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.** **თელავში—თამარ აბაშიძესთან.**
**სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.** **ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** **ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
**სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.** **ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
**ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.** **ერევანში—ელენე ვირსალაძესთან**
**ბათუმში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.**
**გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან**

**ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** 153

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. **№ 8.** ტელეფონი **№ 695.**

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. ბოპოგი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606“-ით.** 1018

---

**ექიმი პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

---

დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს.

## გ. გ. მუხრანბატონი

შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ.—ტუბერკულ. და გულისა. წამლობს ტუბერკულინით, რადიუმისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყ. დღ. დილის 9—12 ს. და საღ. 5—7 საათ. ადრესი: ფრანგ.ბ. ქ., № 10. ტელეფ. 7—92. 1497

---

**ელექტრონისა და რენტგენის ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

---

## სკოლა და პანსიონი

**მ. კ. ბახტიანოვა-სიტმალიდისა**

სოფიის ქუჩა, 6. სურფ-სარქისის ქუჩა, 59. ორივე სქესის ბავშვების მიღება გრძელდება. მომზადება განმეორებითი ეგზამენებისათვის ყველა საგნებში და ამასთანავე საშუალო სასწავლებლების ყველა კლასებისათვის. იქვე აძლევენ როიალის გაკვეთილებს ოქტომბრის 1—დან. 1514

# ტფილისის კერძო სამკურნალო

ბარიატინსკის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლოს
ტელეფონი № 590.

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $11^1/_2$—12 საათ.
**დბჟითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მაჩაბლიშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11^1/_2$—$12^1/_2$.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირბდოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირბდოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ხულბკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა). $12^1/_2$—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11.
**დბჟითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათინიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**თრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^1/_2$—3.

**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$.

**მჭარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი. შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; „606" **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.



## საგურამოზე

**მშვენიერ ალაგას,**
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის პირდაპირ ახლოს-ბლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**: დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020



## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. $^1/_2$ ს.
**მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ პარასკ. 2—3 საათ.
**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.
**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.
**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.
**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა $11^1/_2$—$12^1/_2$
**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.
**ერმოლაევი** -ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.
**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. $12^1/_2$—$1^1/_2$ს.
**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.
**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.
**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.
**შამაში,** ქირურგ. ავადმყ ყ. დღ., კვ. გარდა $1^1/_2$ $2^1/_2$ ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. 366.



## მედიცინის დოქტორი ი. ბ. ჭუდნოვსკი

სინჯავს შინაგან და ნერვებ აშლილ ავადმყოფებს ყოველდღე დილის 9 საათიდან 11 საათ. და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

კიროჩნი ქუჩა, სახ. № 18, ტელეფონი 1090. 1500



**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელისაბედ.** ქ., № 94, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 1178



**ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.** იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 8, ს. გრიბოედოვისა.

**ექიმი ს. ი. გძელიშვილი** შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბორონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. 1411

**ექიმი ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334.

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

## კბილის ექიმი მამულაიშვილი-ხოდნევისა

წამლობა, პლომბის გაკეთება ფაიფურით და ოქროთი. კბილის ამოღება უტკივილოდ ოქროს „კორონკები" და „ვსტავკები" (ახალი სისტემის პლომბი, რომელიც არ იშლება და არ ვარდება). ბრუნდი კბილების გასწორება. მიღება დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ოლგას ქუჩა № 20, ბინა—5. 1504

**ექიმ ი. ე. ჯაშის კაბინეთი** ამბულატორიით. მიიღებს შინაგ., დედ. და სადოსტაქრ. ავადმყ. დილ. 8—11 ს. და ს. ღ. 5—8 ს. დიდვანქის ქ., № 6. წინანდელი სადეპეშო კანტორა. 1480.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვათა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—$6^1/_2$ საათ. [illegible] № 6.


# ტფილისი 23 სექტემბერი

**ერთი შეკითხვის გამო.** ვინც საარჩევნო ბრძოლასა და პოლემიკას თვალ-ყურს ადევნებს, იმისთვის საიდუმლოებას არ უნდა შეადგენდეს, რანაირის თვალით ვუცქერით არჩევნებს ან რანაირს იმედებს ვამყარებთ საქართველოს მომავალ დეპუტატებზე. გარდა იმისა, რომ მომავალი დეპუტატი უნდა იყოს წმინდად ჩამოყალიბებული დემოკრატი, იგი ამასთანვე ერთად უნდა იყოს ქართველ ხალხის ინტერესების დამცველი ისე, როგორც ჩვენ გვესმის ეს ინტერესები. ქართველ ხალხის სახელით ლაპარაკობენ როგორც სოციალდემოკრატები, ისე თავ. ვლ. მიქელაძის ჯგუფი, მაგრამ არც ერთსა და არც მეორე ჯგუფის გარდაწყვეტა ეროვნულ საკითხისა ჩვენ არ გვაკმაყოფილებს, და ამიტომ ვერც ვურჩევთ ხალხს, რომ ან ერთის მომხრენი აირჩიონ, ან მეორისა. სოციალ-დემოკრატების პოზიცია და შეხედულება ამ საგანზე იმდენად გამორკვეულია, რომ დიდხანს შეჩერება არ დაგვჭირდება მათ საქართველოს განსაკუთრებული პოლიტიკური ინტერესები არა სწამთ, და ამიტომ მუდამ ჟამს ყოველნაირს საკითხს აფასებენ საერთაშორისო პრინციპების მიხედვით. ასეთსავე ნიადაგზე დგანან თავ. ვლ. მიქელაძეს მომხრენი. თუმცა სოციალ-დემოკრატები მათ ყოველდღე ნაციონალისტებად ნათლავენ, მაგრამ თავ. ვლ. მიქელაძეს ჯგუფი ყველაზე ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს ისეთს ჯგუფად, რომელსაც პოლიტიკურად აქვს გათვალისწინებული ეროვნული საკითხი და შეუძლიანთ გადასდგან პრაქტიკული ნაბიჯი მის გადასაწყვეტად. მათი კუდ-მოკვეცილი პროგრამა, თუ კი შეიძლება პროგრამა დაერქვას თავ. ვლ. მიქელაძის წიგნაკს, გაშუქებული არ არის ეროვნულის იდეალით. თავ. ვლ. მიქელაძის ჯგუფს, სწორედ ისევე, როგორც სოციალ-დემოკრატებს, არა სწამთ საქართველოს განსაკუთრებული პოლიტიკური ინტერესი.

საქართველოდან წასული დეპუტატი კი სწორედ ამ იდეალით უნდა იყოს გამსჭვალული. იგი სკეპტიკურად, ვულგარულად კი არ უნდა შესცქეროდეს საქართველოს მომავალს, პირიქით, იგი გატაცებული უნდა იყოს ამ აზრით და ყოველს წუთს ახსოვდეს, რომ საქართველო არ მომკვდარა, რომ მას სწყურიან სიცოცხლე. ჩვენმა დეპუტატმა სათათბიროს შემწეობით ქართველი ხალხის მთელი გულის ნადები უნდა გადაუშალოს რუსეთის საზოგადოებას და უთხრას პირდაპირ, იმედის ცეცხლით გაღვივებული სიტყვა. უიმედო, ფრთებ-შეკვეცილი დეპუტატი ჩვენთვის საჭირო არ არის.

ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ პეტერბურგელ ნაფიც ვექილ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის კანდიდატურაზე. ზოგი პირდაპირ ჩვენ მოგვმართავს შეკითხვით, გვითხარით, ვინ ასახელებს მის კანდიდატურასაო. არ ვიცით, ვინ, რომელი საზოგადოებრივი ჯგუფი ასახელებს, მაგრამ ჩვენ კი კატეგორიულად უნდა განვაცხადოთ, რომ იგი საქართველოსთვის სასურველი კანდიდატი არ არის და აი რატომ: მიუხედავად მრავალ პირად ღირსებებისა, იგი სრულიად მოწყვეტილია ქართულ ცხოვრებას: არ იცის, რანაირი ძალთა განწყობილებანი არსებობს ჩვენში, საზოგადოდ არ იცნობს ჩვენს ქვეყანას. გარდა ამისა, როგორც დანამდვილებით ვიცით, მას ვერც შეუძლიან და **არცა ჰსურს** ეროვნული საკითხი გააშუქოს ისე, როგორც ჩვენ გვესმის და როგორც მოითხოვს აუცილებელი საჭიროება. იგი გულ-გრილად, პესიმისტურად შესცქერის საქართველოს მომავალს. ამისთანა კაცი კი, რა ნაირ პირად ღირსებებითაც არ უნდა იყოს დაჯილდოვებული იგი, ჩვენს სასურველ კანდიდატად ვერ გადაიქცევა.

აი რანაირ პასუხს გავცემთ იმ მრავალ-რიცხოვან შეკითხვებს, რომელნიც თითქმის ყოველ დღე მოსდის ჩვენს რედაქციას საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

◆ **კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი** 27 სექტემბერს ტფილის-დან პეტერბურგს მიემგზავრება.

◆ **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგნენ** 21 სექტემბერს: ბაქოს გუბერნატორი ალიშევსკი და ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმსრულებელი თავ. პ. ი. თუმანიშვილი.

◆ გუშინლიდან, კავკასიის ნამესტნიკის მოადგილის სენატორის ა. პ. ნიკოლსკის თავმჯდომარეობით დაიწყო კრებები საუწყებათაშორისო თათბირისა, რომელმაც უნდა გადაათვალიეროს 1901 წლის 21 აპრილის — მიწათმოსაწყობი კანონები, და სახელმწიფო გლეხობის კავკასიაში დასახლების საკითხი.

◆ ამ ორ დღეში, როგორც გავიგეთ, ტფილისში ჩამოვა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ნ. კოკოვცევი.

◆ **სასწავლებლის დათვალიერება.** 21 სექტემბერს ქალაქის გამგეობის წევრმა მ. ნ. ათაბეგოვმა ქალაქის სახელოსნო სასწავლებელი დაათვალიერა. დაესწრო ყველა მოსწავლის გაკვეთილზე. დაწვრილებით დაათვალიერა სასწავლებლის სახელოსნოები და სხვა და სხვა მასალის საწყობები. დათვალიერებამ სამ საათზე მეტს გასტანა.

◆ მეხუთე უბნის ბოქაულმა ჩიხლაძემ 70 **ჩარჩ-ვაჭარი** მისცა სამართალში.

◆ **სალიტერატურო-სამუსიკო დილა.** გავახსენებთ ჩვენ მკითხველებს, რომ დღეს, 23 ენკენისთვეს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში მსახიობი ნიკო გოცერიძე ჰმართავს საყურადღებო სალიტერატურო-სამუსიკო დილას. სამ განყოფილებად: 1) ილია ნაკაშიძე წაიკითხავს ლექციას: „ცოლ-ქმრული სიყვარული". თავის ლექციაში. ი. ნაკაშიძე უფრო ვრცლად შეეხება გაზეთში მოკლედ განხილულ საგანს და მიღებულ კერძო წერილებს ამ საკითხის შესახებ. სალიტერატურო და სამუსიკო განყოფილებებში მონაწილეობენ, ცნობილ ქართ. მწერალთა და მომღერალთა გარდა, მსახიობნი ქართ. დრამ. დასისა: ქ-ნი ნ. დავითაშვილი ი. ზარდალიშვილი, ნიკო გოცირიძე და სხვა. დილა დაიწყება შუადღის 12 საათზე.

◆ **ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი" და „რუსკოე სლოვო"** (I ნაწილი) ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 10 სექტემბრიდან გასასყიდად აღარ აქვს. ამიტომ საზოგადოების გამგეობა შეუდგა ამ წიგნების ხელმეორედ დაუყოვნებლივ დაბეჭდვას. წიგნები 1 ოქტომბრისთვის მზად იქნება.

◆ 2 სექტემბერს ტფილისში 14 [illegible] პორტო მეიპყრეს.

◆ საპატიმროში [illegible] ქის პეუნაქოვს, რომელმაც პოლიციელ ქრთამი შეაძლია.

### საზოგადოებანი და კრებები

◆ დღეს, 23 სექტემბერს, მოხდება სომხების გამომცემელ ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც განიხილავენ საკითხს წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლის შესახებ და სარედაქციო კომისიის და გამგეობის წევრებს აირჩევენ.

◆ დღეს, 23 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე სახალხო სახლთან არსებულ რუსულ დრამატიულ წრის სარეპეტიციო დარბაზში მოხდება საზოგადო წლიური კრება წრის წევრებისა. კრება განიხილავს ხარჯთაღრიცხვას და სხვ. საკითხებს.

◆ **ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის** კრება 21 სექტემბერს მოხდა. ხორცისა და პურის ნიხრის გადასინჯვის საკითხი კომისიამ ერთი კვირით გადასდო, რადგანაც საჭირო შეკრება დაწვრილებით ცნობებისა საკლავ საქონლისა და ფქვილის ფასის შესახებ. დასასრულ ხმოსანი კეილმა კომისიას წინადადება მისცა მოსთხოვოს ქალაქის გამგეობას დაწვრილებით ცნობები იმის შესახებ, მიზანს აღწევს თუ არა მეპურეებსა და ყასბებზე ოქმების შედგენა.

◆ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** გამგეობის კრება, რომელიც 21 სექტემბრისთვის იყო დანიშნული და რომელსაც ბევრი საყურადღებო და საჩქარო საკითხი ჰქონდა განსახილველი, არ შესდგა, რადგანაც კრებას წევრთა კანონიერი რიცხვი არ დაესწრო.

◆ **ღარიბ მოწაფეთა დამხმარე ტფ. გუბერნიის თავ. აზნაურთა საზოგადოების** წევრთა საერთო კრება მოხდება დღეს, 23 სექტემბერს, დილის 11 საათზე სათავად-აზნაურო სადეპუტატო საკრებულოში.

◆ დღეს, 23 სექტემბერს, მოხდება ტფ. სარწმუნოებრივ-საფილოსოფიო საზოგადოების პირველი კრება. კრებაზე გარეშე პირთ არ შეუძლიანთ შესვლა. მოხსენებას წაიკითხავს მ. იანევსკი „კაუცკის ეთიურ შეხედულებათა" შესახებ.

### სასამართლო

◆ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** გორიდან ტფილისს დაბრუნდა.

### სასწავლებლებში.

◆ ორშაბათს, 24 სექტემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე ქალთა უმაღლეს კურსებზე პირველ ლექციას წაიკითხავს საერთო ისტორიის კათედრაზე მოწვეული ვარშავის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ნ. ა. დუბროვსკი.

### ქუთაისი.

◆ **გაზეთის დაჯარიმება.** გაზ. „კოლხიდა" 500 მან. დააჯარიმეს.

# გონჯი აზროვნება.

როდესაც ესა თუ ის საზოგადოებრივ ერთეული ცუდ და ანორმალურ პირობებში იმყოფება, მისი ბუნებრივი განვითარება ფერხდება, იგი სწორ გზას, სწორ აზროვნებას სცილდება და მის წიაღში არა ერთი და ორი სიმახინჯე ჰპოულობს საბუდარს. ერთი ამგვარი სიმახინჯის ნიმუში ამასწინად „სახ. გაზ." მე-№699-ში დაგვისურათხატა პატივცემულმა „შინაურმა". მე სახეში მყავს ის სოფლის მასწავლებელი, რომელიც თურმე პროგრესიულ მოვლენად აღიარებს ქართველ ხალხის გადაგვარებას და ყოველგვარ აზრს მოკლებულად მიაჩნია გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა. სამწუხაროდ ერთი და ორი არ არის ამ აზრისა ჩვენში! უბედურება ის არის რომ ამგვარ გონჯ აზროვნებას საკაცობრიო პროგრესის და წინმსვლელობის მიუცილებლობით ასაბუთებენ.

თქმა არ უნდა, ენათა სხვა და სხვაობა ფრიად აფერხებს ხალხთა შორის დამოკიდებულებას, აზრთა და დაკვირებათა გადაცემას. კაცობრიობა ბევრად წინ იქნებოდა, რომ ყველა ხალხები ერთ ენაზე საუბრობდნენ და აზროვნობდნენ.

მიაღწევს თუ არა კაცობრიობა ამ იდეალურ საფეხურამდე—ძნელი გამოსაცნობია. ხელოვნურად შექმნილი ესპერანტო კიდევ ვერ გამოდგება ამის საფუძვლად, ვინაიდან ცხოვრებას არა ერთი და ორი მაგვარი ცდა გაუცუდებია. კიდევაც რომ მიაღწიონ ერთ საყოველთაო ენას, საეჭვოა, მან დიდხანს გასტანოს და ესეც იმიტომ, რომ ენა ცოცხალი ორგანიზმია, მუდამ ცვალებადობაში იმყოფება. ერთგვარია იგი იქ, სადაც მისი მხმარებელნი, ხშირად, გამუდმებით ხვდებიან ერთმანეთს; მხოლოდ იქ, სადაც კი არამც თუ სხვა და სხვა ხალხები, არამედ თვით ერთი ხალხოსნობის ოჯახის წევრები ისეთნაირად შორდებიან ერთი მეორეს, რომ განუწყვეტელი ურთიერთშორისი დამოკიდებულება შეუძლებელი ხდება, იქ აუცილებლივ იჩენს ხოლმე თავს განსხვავება ენაში.

ენის ამგვარი ბუნებით აიხსნება რომ ინდო-გერმანელებთა წინაპრების თავი ენა (праязык) დროთა და ჟამთა განმავლობაში თითქმის უთვალავ სხვა და სხვა ენებად და ენაკილოკავებად იქცა, ასევე დაემართა ქართველ ტომთა წინაპრების თავენასაც.

შემცნეულია აგრეთვე, რომ არა მარტო დიდ სოციალურ ერთეულთა ცხოვრებაში იჩენს ენა ლტოლვას ცვალებადობისაკენ, არამედ ერთ საზოგადოების სხვა და სხვა წრის და ოჯახების წარმომადგენელნიც ბევრად განსხვავდებიან ერთი მეორესაგან ენის მხრივ. ხშირად ესა თუ ის ოჯახი ხმარობს და ისეთნაირად ასხვაფერებს სიტყვას გამოთქმისა და აზრის მხრივ, რომ მეორე ოჯახის წევრისათვის იგი გაუგებარია აუხსნელად. და აი, როდესაც ენას მოსდგამს ასეთი ცვალებადი ბუნება, ძნელი წარმოსადგენია, რომ ამერიკისა და აზიის მცხოვრებლების ენა სრულიად ერთფეროვანი იყოს. შეიძლება სკოლების, გაზეთების და წიგნების მეოხებით ეცადოთ საყოველთაო ენის განმტკიცება, მაგრამ საეჭვოა, ამგვარმა საშუალებებმა დაიცვან ერთხელ შემოღებული საყოველთაო ენა განსხვაფერებისაგან, ვინაიდან ხალხებს სიყრმიდან სიბერემდე ხომ გამუდმებით სასწავლებლებში არ ამყოფებთ ან და წიგნებს არ აკითხებთ; მოშორდებიან თუ არა სკოლას და შეტოპავენ თუ არა ცხოვრებაში, ენაც თავისუფლად იგრძნობს თავს და იწყებს თავის ბუნების დაგვარად ფერადობას და აჭრელებას. ენის ბუნების დაუცხრომელი ცვალებადობა ბევრს საფუძვლიანად ეჭვს უბადებს საყოველთაო ერთფეროვან ენის შესაძლებლობაზედ.

კიდევაც რომ შესაძლებელი იყოს, გაუგებარი რჩება ჩვენ ფილოსოფოსებთა და ბრძენთა დაბეჯითება: ქართველმა ხალხმა სამშობლო ენა უნდა დაივიწყოს და რუსული შეითვისოსო.

ასეთი ქადაგებით ისინი თითქოს წინდაწინვე წინასწარმეტყველურად საზღვრავენ, რომ საეგებიო მომავალ საყოველთაო ენაში რუსული ენა ითამაშებს გადამწყვეტ როლს. ნეტავი, რატომ ჰგონიათ ეს? რა უტყუარი საფუძვლები მოგვეპოვება ამისი?

ამგვარად ქართველ ხალხის გარუსება საყოველთაო ენის თვალსაზრისისაგან არ გამომდინარეობს და ვფიქრობთ, რომ საკაცობრიო წინმსვლელობა ამით ოდნავადაც არ დაწინაურდება, პირიქით დიდად შეფერხდება.

შეიძლება ერთი ერის კულტურის სიმაღლე შედარებით მცირე ერის განათლების დონესთან შესაძლებლად და შესაწყნარებლად ხდიდეს ამა თუ იმ ენაზე შექმნილ კულტურის მოსპობას? ეს რომ ასე იყოს, თვით ჩვენში ასე მოწონებულ რუსულ ენას და კულტურასაც ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს და რუსის ხალხის პროგრესიული ელემენტები რუსეთის საზოგადოებას თავის ენის დავიწყებას და გაფრანგება-გაგერმანელება-გაინგლისელებას უნდა უქადაგებდნენ, ვინაიდან რუსების კულტურა ბევრად დაბლა სდგას ჩამოთვლილ ერთა განათლებაზე.

ასეთი ქადაგების სურვილი ფიქრადაც არავის მოსდის რუსეთში და თვითეული შეგნებული რუსი სცდილობს საკაცობრიო კულტურას თავის ხალხის განათლებით თავისავე ენაზე, სამშობლო ენის განვითარებით და ეროვნულ თავისებურებათა სავსე გაშლა-განმტკიცებით ემსახუროს.

თვითოეული ერი და ეროვნული კულტურა დაუფასებელ ღირებულებას და მიუცილებლობას წარმოადგენს.

ყველა რომ ერთგვარი სულიერი განწყობილების, ნიჭის, ერთგვარი ხასიათის ან მოწოდების იყოს, მაშინ ჩვენ ხელთ გვექნებოდა მკვდარი, უსიცოცხლო ერთფეროვანება, ცხოვრებაც მდარე ტბას ემზგავსებოდა. ერთი მხატვარია, მეორე მომღერალი, მესამე კრიტიკული ნიჭის პატრონია, მეოთხე განყენებულ აზროვნებას ეტანება; საგანი სულ სხვა და სხვა მხრიდან ითვალისწინება, იბადება სულიერი სიმდიდრე, შემოქმედებითი სხვა და სხვაობა, რაც ცხოვრებას აცხოველებს და მრავალფეროვანების დაუშრეტელ წყ როდ აქცევს.

თვითოეულ ერში ისტორიულ ცხოვრების და ბუნების პირობების სხვადასხვაობის მეოხებით განსაკუთრებით ვითარდება ესა თუ ის სულიერი განწყობილება, მხარე და ნიჭი სულისა, რომელშიაც მას გაუშლია და გამოუჩენია თავისი შემოქმედებითი ჰენია.

თვითოეულ ერს შეაქვს თავისებური რამ საკაცობრიო სალაროში, ანვითარებს თავის უმაღლეს წერტილამდე სულიერების რომელიმე მხარეს და საბოლოოდ დამთავრებულს უანდერძებს მთელს კაცობრიობას; ამ უკანასკნელის დანარჩენ წევრებს უადვილებს განვითარებას და სხვა და სხვა მიზეზებით ჩათვლემილ მხარეებს სულიერ შემოქმედებისას სასიცოცხლოდ იწვევს. ამას გარდა, როდესაც ერი, რომელსაც რომელიმე განსაზღვრულ სფეროში ეხერხება განსაკუთრებით ნაყოფიერობით მუშაობა, შემოქმედების სხვა და სხვა მხარეებს მიაპყრობს თავის გულის ყურს, აქაც ხშირად საგნის, ობიექტის ისეთ მხარეს გამოამზეურებს ხოლმე, რომელიც რაიმე მიზეზის გამო გამოეპარა მეორეს.

ამ გვარად სხვა და სხვა ერები ერთი მეორის დამატებას წარმოადგენენ, ერთი მეორეს ამდიდრებენ სულიერად და ყველანი ერთად კი ჰქმნიან ყოველ-მხრივ ცოდნას, მთლიან წარმოდგენას გარეშე და შინაგან ბუნებაზე. მით რომ ყველა ერთად ერთი მეორის თანხმობით წკრიალებს თავ-თავის ჰანგზე თავის ხმით—იქმნება ერთგვარი შემოქმედებითი ჰარმონია, გონების და სულის დამატკბობელი სიმფონია.

აი, ასე კეთილ-მყოფელი და ხელსაყრელია საკაცობრიო წინ-მსვლელობისათვის ერი და ეროვნული შემოქმედება. კაცობრიობის ბედნიერება და კულტურა ცალკე ერთა ჩაკვლას და მათ თავისებურებათა ჩალრჩობას კი არ მოითხოვს, პირიქით სრულს თავისუფლებას ბუნებრივ განვითარებისას, რათა თვითეულ ერს შეძლება მიეცეს გაშალოს მის სულიერ არსებაში მყოფი ძალები და ახალ-ახალი ნაკადულები შესძინოს საკაცობრიო კულტურის სალაროს. ვინც ერს, კულტურულ შემოქმედების უნარის მქონეს, სულს უხუთავს, მის აღმაფრენას გასაქანს არ აძლევს და განვითარების საშუალებების წართმევით ცდილობს მეორე ერის კულტურას დაუმონოს—ის ბუნების საწინააღმდეგო მოვლენას სჩადის, საკაცობრიო კულტურას ღალატობს, ვინაიდან კაცობრიობას ერი გამაცოცხლებელ ნაკადულს უსპობს.

ქართველი ხალხის კულტუროსნობა დღესავით ნათელია, ცხადია აგრეთვე მისი კულტურის თავისებურება. ქართველ ხალხის სულიერ შემოქმედების სხვა მხარეებს რომ თავი დავანებოთ, მარტო ქართული მუსიკა რა დიად სარგებლობას მოუტანდა და უზომოდ გაამდიდრებდა ევროპის თითქმის ამოწურულ მუსიკას! არც თუ შემოქმედების სხვა დარგებში იჩენს ქართული ჰენია უილაჯობას. ცხოვრების ნორმალურ პირობებში აქაც შესძლებდა თავისი გადამწყვეტი ხმა ეთქვა და თავისებური რამ შეეტანა საკაცობრიო სალაროში.

ამის და მიხედვით ერთი წუთიც არ შეიძლება ქართველ ხალხის გა-

რეოაქტორი დაიჭირეს, კოლხიდა აღარ გამოვა.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობა უკვე შეუდგა საქმეს. პირველი ლექციები იქნება დღეს. გაიმართება ქალაქის თეატრში დილა პედაგოგის გოგებაშვილის მოღვაწეობის აღსანიშნავად. ალ. გარსევანიშვილი გააცნობს მსმენელთ გოგებაშვილის ცხოვრებას. ტრ. ჯაფარიძე წაიკითხავს ვრცელ ლექციას: იაკობ გოგებაშვილი, როგორც პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე". ბ.ბ. ვ. რუხაძე, დ. თომაშვილი, ან შუბლაძე და გუცა წაიკითხავენ ლექსებს, რომელიც დაწერილია განსვენებულის სახსოვრად. დასაწყისი შუადღის 12 საათზე. ფასი 5 შაურიდან შაურამდის.

✦ გუშინ ქუთაისის ბულვარზე დაიჭირეს პარიზელი სტუდენტი **არსენიძე.**

✦ **სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლებად** (19 მთხოვნელი იყო) ქუთაისის სამზრუნველომ დანიშნა მუჟალის ნორმალური სკოლის ზედამხედველი ვარლამ ძიძიგური და შემახიის საქალაქო სკოლის მასწავლებელი გიორგი ბოკერია. ამასთანავე დაადგინეს ქაღალდი ამ გადაწყვეტილებისა წ. კ. საზოგადოების მთავარ გამგეობას გაეგზავნოს, რათა მან არჩეულნი ოლქის მზრუნველთან წარადგინოს დასამტკიცებლად. („კოლხ.").

## სიღნაღი

✦ სამი შეიარაღებული უცნობი ბინაზე დაეცა გიგა შაიშმელოვს და მოსთხოვეს 200 მანეთი. შაიშმელოვმა ორჯერ გაისროლა თოფი. მძარცველები გაიქცნენ. ორი მ თგანი შაიშმელოვმა იცნო. ისინი აღმოჩნდნენ ვლადიმერ გოცირიძე და მიხეილ ვართანოვი, მესამე კი ვერ აღმოაჩინეს.

## სოფლად

**ტფ. მაზრა.** სოფ. ბურნაშენთან სოფლის საერობო დარაჯები ალექსანოვი და კურაბეკოვი შეხვდნენ უცნობთ, რომელნიც საქონელს მიერეკებოდნენ. უცნობებმა დარაჯების დანახვაზე მიატოვეს საქონელი და დარაჯებს თოფები დაუშინეს. ალექსანოვი და ნურბეკოვი დაიჭრეს. უცნობები მიიმალნენ.

✦ **სიღნაღის მაზრა.** სოფ. აფენის მცხოვრებმა არჯევან გველესიანმა მოიწადინა გაუპატიურება მიხეილ გველესიანის ქალის—იულიასი, რომელიც ტყის პირას ცხენს აძოვებდა და ამ მიზნით ქალის ტყეში შეყვანა მოიწადინა. ქალის კივილზე ვარლამ ჰანტურიძე მიეშველა და გადაარჩინა.

✦ სოფ. ჯუგაანში, ნიკოლოზ და მიხეილ აბუაშვილები, გიორგი და ქარუმ ელაშვილები იარაღით შეუცვივდნენ სახლში ივანე აბულაშვილს და გაიტაცეს მისი სტუმარი ქალი მატრონა გოგილაშვილი.

# არჩევნების გარშემო.

დღეს, ნაშუადღევის 3½ ს. ტფ. რუსულ კურიის პროგრესისტ ამომრჩევლებს სახალხო სახლში უკანასკნელი წინასწარი საარჩევნო კრება ექნებათ.

**დ. ზესტაფონი.** 16 ენკენისთვეს დანიშნული წვრილ მემამულეების რწმუნებულთა არჩევანი ჩაიშალა და მის ნაცვლად 20 ენკენისთვეს მოხდა. კრებაზე 647-დან გამოცხადდა 207 მემამულე. ასარჩევი იყო 38 რწმუნებული. წამოყენებული იყო ყველა ჯგუფებიდან 66 კანდიდატი. არჩეული იქნენ:

ანდრია ქაიხ. აბაშიძე, იოსებ ალ. გუნცაძე, ქაიხოსრო გიორ. გუნცაძე, სვიმონ ბეს. გუნცაძე, ვასილ ივან. მაჭავარიანი, ბიკტორ ტარ. აბაშიძე, მიხეილ ზურ. მაჭავარიანი, ბესარიონ ივან. გუნცაძე, ილიკო გრიგ. აბაშიძე, სევერიან დიმიტ. გუნცაძე, ამბერკი ალ. საყვარელიძე. გიორგი დიმიტ. ჟღენტი, მიხეილ ივან. საყვარელიძე, აბო მიხ. საყვარელიძე, ნესტორ იოსებ. აბაშიძე, არჩილ ელიზ. მაჭავარიანი, ალექსანდრე ტარ. აბაშიძე, ერმილე ანდრიას ძე ჟღენტი, ბეგლარ ელიზ. ჭაჭიაშვილი, პარამონ ბიჭ. ჭაჭიაშვილი, ბესარიონ სიმ. საყვარელიძე, იოსებ ავთან. საყვარელიძე, ირაკლი გიორგ. საყვარელიძე, ვანო ნარ. საყვარელიძე, გიორგი ივან, საყვარელიძე, გიორგი ალმას. კუჭუხიძე, ვლადიმერ. სიმ. ავალიანი, სამსონ სვიმ. ჟღენტი, გიორგი ზურ. მაჭავარიანი, ვარდენ ხუს. ჟღენტი, ვასილ მიზ. ქადაგიძე, რაჟდენ ბეს. საყვარელიძე, ნესტორ დიმ. საყვარელიძე, სიმონ გლ. მაჭავარიანი, დავით ნ. საყვარელიძე, გიორგი დავ. მაჭავარიანი, სილიბისტრო ცქიტიშვილი, მელიტონ საბას. ჟღენტი.

სულ გავიდა 38 კან. დანარჩენები, მეტ ნაწილად ვლ. მიქელაძისა მომხრენი გააშავეს.

**ბაღდადი.** წვრილ მემამულეთა კრებაზე გამოცხადა 36 კაცი. ასარჩევი იყო ხუთი. ყუთი ათმა დაიდგა. არჩეულ იქნა ექიმი დ. ლორთქიფანიძე. გ. ახვლედიანი, ს. ნაჭყებიანი, მიხ. ფურცელაძე და ბ. ჯიშკარიანი. („კოლხ.")

# ტფილისის უნივერსიტეტი

„რუსკოე სლოვოს" სიტყვით. მეფის მოადგილემ კავკასიაში, მინისტრთა საბჭოსა, სთხოვა: დაარსდეს თბილისში ისეთი უმაღლესი სასწავლებელი, საცა სატეხნიკო განყოფილებასთან ერთად ალაგი ექნება ჰუმანიურ მეცნიერებასაც. პირველ ყოვლისა ჰფიქრობენ გახსნან საფიზიკო-სამათემატიკო ფაკულტეტი საბუნების მეტყველო განყოფილებით. აქედან გამოვლენ მეურნეები, ქიმიკოსები, ბოტანიკოსები და სხვ., რომელნიც კავკასიის ბუნების სიმდიდრეს და მუშაობას ხელს შეუწყობენ. საჭიროა აგრეთვე ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი, რომელიც კავკასიას მისცემს პედაგოგებს და მეცნიერ სპეციალისტებს. ვორონცოვი დასთანხმდა უნივერსიტეტის მაგიერ პოლიტეხნიკუმის დაარსებას კავკასიაში, მხოლოდ იმ პირობით, თუ ახლო მომავალში გაიხსნება სამეურნეო, საქიმიკო, სამექანიკო და საეკონომიო განყოფილებები.

ტფილისის ქალაქის თვითმართველობამ მიუზომა უნივერსიტეტს 50 დესეტინიანი ალაგი ნავთლუღში.

# გუსტავ ერვემ სამშობლო იწამა.

პატრიოტიზმის და მილიტარიზმის დაუძინებელი მტერი გუსტავ ერვე ეხლა სხვა ღმერთს სცემს თაყვანს. იგი დაშორდა თავის თანამოაზრეებს, რომელნიც უსაყვედურებენ პრინციპების ღალატს და „ბურჟუაზიულ შეხედულების" აღიარებას. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, როცა პირველად კითხულობდა ლექციას, საშინელი არეულობა მოხდა. გამოჩნდა თუ არა ერვე ტრიბუნაზე ხალხში დიდი ალიაქოთი ასტყდა, ისმოდა ხმები: „რენაგატი, კომედიანტი, დეპუტატი, შოვინისტი!" ერვე დიდხანს იდგა ტრიბუნაზე დადუმებული და როდესაც ხმაურობა მისწყდა სთქვა: „ამ ხალხის გულისთვის ვიჯექი ციხეში, მაგათ უნდათ პირში ბურთი ჩამჩარონ, რადგანაც ხანგრძლივ მოფიქრების შემდეგ ტაქტიკა შევიცვალე"-ო. უკანასკნელმა სიტყვებმა ცეცხლზე ნავთი დაასხა. ჯოჯოხეთური ხმაურობა ასტყდა: რევორვერების სროლა, ყვირილი, გულის შეწუხება, ცემა-ტყეპა—ერთმანეთში აირია.

ბოლოს ხალხი დამშვიდდა. ერვე განაგრძობს: „ჩემი მიუტოვებელი ცოდვა იყო ის, რომ ჩემი თავი სამშობლოს უარმყოფელად ჩავთვალე, მაგრამ დამავიწყდა რომ სამშობლოს კი არ ვებრძოდი არამედ კაპიტალისტურს, ბურჟუაზიულ სამშობლოს ვებრძოდი"-ო. „გაუმარჯოს გერმანიას!" გაისმა ხალხში აღელვებული ხმა. ერვემ განაცხადა,—ანტიმილიტარისტი არ ვარო: ახალგაზრდობა კი არ უნდა გაურბოდეს ჯარს, არამედ გაწრთვნილ ჯარის კაცებად უნდა იყოს. უჯაროდ სოციალური რევოლუცია წარმოუდგენელია. ბოლო სიტყვებმა დაარწმუნა ხალხი, რომ ერვემ ძველ გზას გადაუხვია. აუდიტორია დაცარიელდა.

მრავალ მაგალითს ეს ერთი კიდევ მიემატა, რომ კოსმოპოლიტიზმი არსებითად უნაყოფო მცნებაა და პრაქტიკასთან საერთო არაფერი აქვს.

გუსტავ ერვემ სამშობლო იწამა! ეს ბევრ რამეს ამბობს.

# ომის მოლოდინში

## დეპეშები.

### ოსმალეთის და ბალკანეთის კრიზისი.

**სტამბოლი.** ჯარის ამბების გამოქვეყნება აკრძალულია. ჯარი იყოფა ორ არმიად: ერთი იმოქმედებს ბულგარეთის და სერბიის წინააღმდეგ, მეორე—საბერძნეთისა და ჩერნოგორიის წინააღმდეგ.

საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა ჰსურთ, ამასთანავე უნდა იყოს დაცული მე-23 მუხლი ბერლინის ტრაქტატისა.

**ლონდონი.** ოსმალეთი აფრთხილებს სახელმწიფოებს, თუ ბალკანეთის სახელმწიფოებში მშვიდობიანობა არ დამყარდა, ოსმალეთი იმოქმედებს თავისუფლად, იმ იმედით, რომ მთელი კულტურული ქვეყანა დააფასებს მის ზომიერებას.

**პარიზი.** მდგომარეობა ბალკანეთში არ შეცვლილა. ტყუილია ხმები რუმინიის მობილიზაციისა. იმედია სახელმწიფოები ერთსულოვნად იმოქმედებენ ბალკანეთში მშვიდობიანობის დასაცავად. რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია შეთანხმებულად მოქმედებენ. თუ ვენის კაბინეთიც მიემხრო ამათ, ევროპა ჩაერევა ბალკანეთის საქმეებში.

**ვენა.** ბირჟაზე ფასებმა ძლიერ აიწია.

**სარაევო.** ბალკანეთის მობილიზაციის გამოცხადებამ ძლიერი შთაბეჭდილება იქონია მცხოვრებზე. მუსულმანები მწუხარებას ეძლევიან, სერბიელები ნეტარებენ.

**რომი.** „ტრიბუნა" სწერს: სახელმწიფოების ჩარევამ ბალკანეთის საქმეებში ომის აცილების გარდა, უნდა უზრუნველჰყოს ბალკანეთის რეფორმები, და ქრისტიანთა მშვიდობიანი ცხოვრებაო.

**ბუდაპეშტი.** ჰუნგრეთის პრესა რუსეთს უსაყვედურებს, რომ ბალკანეთში მომხდარი არეულობა რუსეთის დიპლომატიის საქმეაო. მშვიდობის მოყვარე ბულგარეთის მეფეც კი შეაშინა რუსეთმა მუქარით ტახტიდან ჩამოგაგდებთო. ავსტრია-ჰუნგრეთი ფხიზლად უნდა ადევნებდეს თვალს რუსეთის საზღვრებსო. „ნეის-პესტერ-ჟურნალი" ამბობს: სერბიის ჯარი საზღვარს ისე ვერ გადავა, რომ ავსტრია-ჰუნგრეთის ტერიტორიაში არ გადმოვიდესო. გაზეთები აღნიშნავენ ავსტრია-ჰუნგრეთის სუსტ გავლენას ბალკანეთზე. „პესტერ ლოიდ"... „აპელგარი" გამოსთქვამს აზრს, რომ ავსტრია-ჰუნგრეთმა ხელი უნდა შეუშალოს დაუძინებელ მტრის—სერბიის გაძლიერებას. „ველაგი" მოითხოვს იარაღით დაიცვას მონარქიამ თავისი ინტერესებიო. „მიჯარ-ობაგი" ჰშიშობს, ბალკანეთის ომმა არ გაანადგუროს ჰუნგრეთიო, ამისთვის საჭიროა სრული პასივობა ბალკანეთის საქმეებში.

**ბუხარესტი.** პრესა ირწმუნება, რომ რუმინია ნეიტრალიტეტს დაიცავსო.

**ვენა.** „ნეი-ფრეი-პრესე" სარწმუნო წყაროებიდან იუწყება: ბერტჰოლდი თანახმაა პუანკარეს წინადადებაზე. იმედია რუსეთი და ავსტრია-ჰუნგრეთი შეთანხმებულად იმოქმედებენ ბალკანეთშიო.

**პარიზი.** საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ცნობებით ბალკანეთის მდგომარეობა არ შეცვლილა. პორტისთვის ულტიმატუმი არ გადაუციათ. სახელმწიფოთა მოლაპარაკება მშვიდობიანობის დამყარებას სცდილობს. პუანკარეს და საზონოვის მოლაპარაკებამ ნათელ ჰყვეს, რომ საფრანგეთი და რუსეთი ერთი მიზნისკენ ისწრაფვიან.

**ვენა.** ბირჟაზე სიმშვიდეა. რუსეთის სახელმწიფო ურჩევს ბალკანეთს გონიერება და ზომიერება დაიცვან. ეს ცნობა კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ხალხზე.

**სტამბოლი.** ავსტრიის ელჩი დიდხანს ებაასა გარეშე საქმეთა მინისტრს. ურჩევდა მშვიდობიანობის პოლიტიკა აწარმოვოს. ომის სურვილი ძლიერდება. ქუჩაში მანიფესტაციაა. ისმის ყვირილი; „გაუმარჯოს ომს! ძირს ბულგარეთი"! ჯარი ბრძოლისკენ მიისწრაფვის. მთავრობაც ომის მომხრეა.

ტიმროჩის ახლოს ბულგარები დაეცნენ ოსმალეთის ბლოკჰაუზს, მაგრამ უკუაქციეს. ნოვი ბაზარის ახლოს სერბიელები დაეცნენ ოსმალეთის ჯარს; ოსმალებმა უკუაქციეს.

**ბუქარესტი.** ბირჟაზე მდგომარეობა მტკიცეა. გამოიდარა. ქუჩები გაიხსნა.

**ვენა.** „ცეიტი" გვატყობინებს: ფლოტს სამხრად ამზადებენო. გახურებული მუშაობა სწარმოებს გემებზე.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოს პუანკარემ გადასცა საზონოვთან მოლაპარაკება. დიდი სახელმწიფოები უთანხმოების დაშოშმინებას ცდილობენ. თუ ომი დაიწყო, მაშინ ეცდებიან ომის ლოკალიზაციას.

**ვენა.** პრესა ცოტა დამშვიდებულად მსჯელობს, მაგრამ რუსეთის ნდობით ვერ ეპყრობა—„ნეი-ფრეი-პრესე" კითხულობს, რატომ არ მოხდა ჩერნოგორიის და სერბიის დემობილიზაცია, თუ კი რუსეთს მშვიდობიანობა ჰსურს? თუ საზონოვის სადიპლომატო ბოროტ-მოქმედება საკმარისი არ არის, რომ მათი სურვილი დავინახოთ, გავიხსენოთ ბალკანეთის სახელმწიფოების კავშირი. ამავე გზას დაადგება ავსტრია-ჰუნგრეთის პოლიტიკა, თუ რუსეთს ნდობით მოეპყრაო, ამბობს გაზეთი. რუსეთის საცდელი მობილიზაცია გაზეთს საეჭვოდ მიაჩნია.

**სოფია.** ორმოცმა დეპუტატმა გამოსთქვა სურვილი ჯარის კაცობისა.

**სტამბოლი.** სტამბოლში მიტინგებია. მიტინგებზე გამოაქვთ რეზოლიუცია, იბრძოლონ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. წესრიგი დაცულია.

**იპეკი.** მეჩეთში თათბირია, სერბიელების ამოწყვეტა ჰსურთ, ამას ალბანელების მოთავენი ეწინააღმდეგებიან. სერბიელებს ურჩევენ ჩერნოგორიაში და სერბიაში გადასახლებას.

**ბელგრადი.** დიდ სახელმწიფოთა სურვილს ომის ლოკალიზაციისას დიდის სიხარულით შეხვდა ხალხი. მობილიზაციის საქმე კარგად მიდის.

**სტამბოლი.** ომი აუცილებელია. ოსმალეთი ნებას არ მისცემს სახელმწიფოებს მის საქმეში ჩარევას. არავითარ მოლაპარაკებას არ გამართავს რეფორმების თაობაზე, რადგანაც ოსმალეთს არ შეჰბორკავს.

ბალკანეთზე იმდენად გართულდა საქმე, რომ ყველა დღე-დღეზე ელის ომის დაწყებას. „რუსკოე სლოვო"-ს სტამბოლიდან ატყობინებენ, სერბიამ ულტიმატუმი წარუდგინა ოსმალეთსაო. ამ ულტიმატუმში სერბია სთხოვს ოსმალეთს, 48 საათის განმავლობაში დაუბრუნოს მას ის იარაღი, რომელიც უსკიუბში დაიჭირეს.

ბელგრადში, შუაღამის პირველ საათზე გამოიცა დამატებითი ფურცელი ოფიციალურ გაზეთისა, რომელშიაც დაბეჭდილია მეფის ბრძანება ჯარის მობილიზაციის შესახებ. ეს ცნობა პარლამენტის წევრებმა და ხალხმა აღტაცებითა და დიდის ენტუზიაზმით მიიღო. ჯარი ოსმალეთის საზღვრებისკენ მიდის. ავსტრიის საზღვართან დარჩება მხოლოდ ორი პოლკი, მეთუქვსმეტე და მეჩვიდმეტე. თუმცა კონსტიტუციით ომის გამოცხადება მეფის უფლებას შეადგენს, მაგრამ ამ ჟამად ხალხის წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას. იმედი აქვთ, რომ პარლამენტი ერთხმად მიიღებს გარდაწყვეტილებას ომის შესახებ. სერბია თხოულობს, ძველ სერბიასა და მაკედონიის ავტონომია მიენიჭოს.

სოფიიდან ცნობები მოდის, ომის დაწყებას ყოველ წუთს მოელიან. რუსეთის ... ამბობენ, ... გამწვავებულიაო.

ბულგარეთის სამხედრო საბჭომ სამი საათის თათბირის შემდეგ გადასწყვიტა, გამოაცხადოს მობილიზაცია. ელოდნენ მხოლოდ სერბიის მობილიზაციას. ბულგარეთისა და სერბიის შემდეგ მობილიზაციას გამოაცხადებენ საბერძნეთი და ჩერნოგორია. ოთხივე სახელმწიფო ერთად წარუდგენს ულტიმატუმს ოსმალეთს და მაკედონიის ავტონომიას მოითხოვს. რადგანაც მოსალოდნელია, რომ ოსმალეთი ამ ულტიმატუმს არ დააკმაყოფილებს, ომი აუცილებლად მიაჩნიათ.

საბერძნეთმა პირეიში დააბრუნა ყველა გემები, რომელნიც ოსმალეთის ზღვებზე სცურავდნენ.

რუსეთის დასავლეთ გუბერნიებში მოახდინეს საცდელი მობილიზაცია.

ვენაში ხმა გავრცელდა, ავსტრიაში დიდი სამზადისიაო.

მაკედონიაში შესდგა სარევოლიუციო მილიცია, რომელიც ოსმალეთის საწინააღმდეგოდ სახელმწიფოთა ჯარებს მოეხმარება.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

22 ენკენისთვე.

## რუსეთი

### არჩევნები.

**პეტერბურგი.** დეპეშათა პეტერბურგის სააგენტო გვატყობინებს არჩევნების მსჯელობას წვრილ მემამულეთა და ღვდლების წინასწარ კრებებზე ასტრახანის გუბერ. არჩეულ იქმნა 16 მღვდელი; ბესარაბიის გუბ.—83 მღვ., 15 წვრ. მემ. ვილნას გუბ.—8 წვრ. მემ., ვიტებსკის გუბ.—83 მღ., 34 მემ., 2 მდაბიო მოქალაქე, 2 გლეხი, 1 გერმანელი, 1 აზნაური. ვლადიმირის გუბ.—170 მღვ., 10 აზნაური, 4 ვაჭარი, 6 შთამომავლობითი მოქალაქე, 2 მდ. მოქ., ვოლოგოდის გუბ.—117 მღვდელი, 1 გუბერნიის წინამძღოლი, 1 აზნაური, 1 მოხელე, 1 სამხედრო სამსახურის მოხელე, 2 მდაბიო მოქ., ვოლინის გუბ.—321 მღ., 2 კსენდზი, 19 წვრ. მემამ., 3 აზნაური. ვიატსკის გუბ.—88 მღ., 11 წვრ. მემამ., 1 ვაჭარი. გროდნოს გუბ. 115 მღვდ., 19 კსენდზი, 20 აზნაური, 2 მოხელე, 17 მდაბ. მოქ., 2 მემამულე, 10 გლეხი, 5 ებრაელი. ეკატერინოსლავის გუბ.—215 მღვდ., 2 მემამულე; კალუგის გუბ.—143 მღ., 28 მემ. კიევის გუბ.—487 მღ., 36 წვ. მემ. ამათში ორი მესამე სათათბიროს დეპუტატია. კოვნოს გუბ.—17 კსენდზი, 25 აზნაური, 13 გლეხი, 1 ექიმი. კოსტრომის გუბ.—145 მღ., 12 წვ. მემ.; კურსკის გუბ.—301 მღ., 46 წვრ. მემამულე. ლიფლანდიის გუბ.—1 აზნაური. მინის გუბ.—131 მღ., 8 მემამ., 6 მოხელე, 5 გლეხი. მოგილევის გუბ.—112 მღვ., 46 აზნაური, 10 წვრ. მემ., 8 გლეხი. მოსკოვის გუბ.—199 მღ., 22 გლეხი, 12 მდ. მოქალ., 6 საპატიო მოქ., 13 აზნაური, 3 პროფესორი, 2 ვექილი, 2 ექიმი, 1 მოსამართლე, 1 საპატიო მოსამართლე, 1 ერობის უფროსი, 2 მემამულე, 1 მეტყევე, 1 გაზეთის გამომცემელი. ნიჟეგოროდის გუბ.—141 მღ., 14 წვრ. მემამულე. ორენბურგის გუბ.—93 მღვდელი.

ნოვგოროდის გუბ.—117 მღ. 11 წვ. მემ. პენზის გუბ.—142 მღ. 17 მემ. პოდოლის გუბ.—427 მღ., 4 მემ. პოლტავის გუბ.—208 მღ., 60 წვრ. მემ. პსკოვის გუბ.—46 მღვ., 40 წვრ. მემ. რიაზანის გუბ.—244 მღვ., 14 აზნაური, 12 მოხელე, 4 ვაჭარი, 2 მდიდ. მოქალაქე. 1 გლეხი. პეტერბურგის გუბ.—158 წვრ. მემ., 2 მღ., სარატოვის გუბ.—15 აზნაური, 6 მდაბიო მოქ., 1 საპატიო მოქალაქე, 1 ვაჭარი; სტავროპოლის გუბ.—23 მღვ., ტავრიდის გუბ.—48 მღ., 43 თათარი, 10 გერმანელი, 6 წვრილი მემამულე, 3 მდაბიო მოქალაქე; ტამბოვის გუბ.—322 მღ. 27 წვრ. მემ.; ტულის გუბ.—229 მღ., 13 აზნაური, 3 წვრ. მემ., 2 გლეხი, 1 კერძო ვექილი, 1 მოხელე, 1 მდაბიო მოქალაქე., უფის გუბ.—31 მღვ., 7 მუსულმანი, 12 წვრ. მემ., 4 ვაჭარი, 2 ექიმი, 1 ნაფიცი ვექილი, 1 აზნაური, 1 მდაბიო მოქ., ხერსონის გუბ.—32 მღვ., 6 წვრ. მემ., ჩერნიგოვის გუბ.—177 მღვ., 49 წვრ. მემ., ჩერნომორის გუბ.—3 აზნ., 1 საპატიო მოქალაქე, 1 მოხელე. იაროსლავის გუბ.—149 მღ., 3 აზნ., 4 ვაჭარი, 1 მემ., ყუბ. ოლქში—87 მღ., 128 წვრ. მემ. თერგის ოლქში—1 ყაზახი, 2 ლეკი, ვარშავის გუბ.—173 გლეხი, 10 კსენდზი. ლიუბლინის გუბ.—42 წვრ. მემ., 15 გლეხი, 4 კსენდზი. კელცის გუბ.—60 გლეხი, 7 კსენდზი, სედლე-

---

რუსების დადასტურების შეწყნარება. ის პირი კი, რომელიც აღიარებს გადამგვარებელ პოლიტიკასთან ბრძოლის უსაფუძვლობას საკაცობრიო კულტურის მოსაზრებით, ჩვენ გვგონია უვიცობას იჩენს თვით საკაცობრიო კულტურის მცნების გაგებაში და გვაფიქრებინებს, რომ მას ნათლად არა აქვს წარმოდგენილი, თუ რა რიგ მდგომარეობაში ანუ დამოკიდებულებაში იმყოფება თვითოეული ერის კულტურული შემოქმედება საზოგადო საკაცობრიო წინმსვლელობასთან.

მართალია ენა და ეროვნება, როგორც ყოველისფერი ცის და მთვარის ქვეშ, გარდამავალია, მ გრამ მათი გაქრობა უნდა იყოს არა ძალადობითი, განვითარების საშუალებათა ბარბაროსულ აღკვეთით გამოწვეული, არამედ შედეგი სრული თავისუფალ განვითარებისა თავისავე ბუნებრივი საშუალების ანუ ენის შემწეობით. როდესაც ერი განვითარების უმაღლეს წერტილამდე მიაღწევს, თავის დანიშნულებას აღასრულებს და მისი ძალები მოდუნდებიან, მაშინ იგი ან დაეცემა და ან მეორე ერთან შედუღებით კვლავ გაცხოველდება, შეჰქმნის ახალს ნიშან-წყლიანობის მქონე და სასიცოცხლოდ გამოსადეგ ორგანიზმს.

დიაღ, ეს პროცესი იქნება სრულიად ბუნებრივი და ამის წინააღმდეგ ბრძოლა, „შინაურის" მასწავლებლისა არ იყოს, უსარგებლო ფუჭხური იქნება. აქ ვერაფერს ვერ გავაწყობთ, ვინაიდან ჩვენ ბუნების დასკვნილებასთან გვექნება საქმე. ასეთ შემთხვევაში პირვანდელ სახის დაკარგვა იქნება მასსიური, თანაბარად მოიცავს ხალხის ყველა ჯგუფებს. „შინაურის" მასწავლებლისთანა ხალხს რომ ჰკითხოთ, ქართველ ერს ასეთი განკითხვის ჟამი უკვე დაუდგა და მან შეუბრძოლებლად და ხელ გაუნძრევლად უნდა მისცეს თავი გადაგვარების ტალღას.

მერე მართალია ეს? დღეს ყველასათვის ნათელია, რომ გარუსება ქართველ ხალხის შინაგანი და ბუნებრივი განვითარებისაგან კი არ არის მონაბერი, არამედ ძალდატანებითია, ტლანქ და ბრმა გარეშე ძალისაგანაა ჩვენს თავს მოხვეული. ამას გარდა ამ გადაგვარებას აკლია ის მასსიური ხასიათი, რომელიც, როგორც ჩვენ ზევით დავინახეთ, ახასიათებს ორი ერის ურთიერთ შორის შედუღებას. დღეს დღეობით კი ქართველი სრულიად არ იჩენს რუსის ხალხთან შედუღების ტენდენციას და ყველგან, სადაც კი მისი ეროვნული სახე უნდათ შებღალონ, იგი უკმაყოფილოა ხოლმე ასეთის ძალადობის და თავის ეროვნების უფლების ხელშეუხებლობას მოითხოვს.

ამ ექვსი წლის წინად, როდესაც ხალხს საშუალება მიეცა ერთი წუთით მაინც ესარგებლა სიტყვის და კრების თავისუფლებით, სრულიად მოულოდნელად თვენახევრის განმავლობაში გააცამტვერა ასი წლობით ნაწარმოებ გარუსების პოლიტიკის შედეგები და ქართულ ენის დაცვა და ხმარება იწყეს იმ წრეებშიაც კი, სადაც მანამდე იგი ათვალწუნებული იყო. რას გვიჩვენებს ეს, თუ არ იმას, რომ ქართული ენა ვანზრახაა შებოჭილი, რომ იგი ლომობს განვითარდეს თავის ბუნებრივ კალაპოტის საზღვრებში და სრულიადაც არ ფიქრობს თავი მისცეს გადაგვარებას. ის გარემოება, რომ ქართველ ხალხის ერთი ნაწილი, სახელდობრ, განათლებული, მშობლიურ ენას არ ეტანება—კიდევ არ ნიშნავს, რომ ქართველ ხალხს გადაგვარების ჟამი დასდგომოდეს ან და მისი ბუნებრივი სიკვდილი იწყებოდეს. განათლებული ნაწილის ჩამოშორება უკუღმართ აღზრდის ნაყოფია, ანტიპროგრესიულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ და ვეცადოთ თავიდან ავიცილოთ.

„შინაურის" მასწავლებელსავით მოაზროვნე ხალხს რომ ჰკითხო, გეტყვიან: „ვისაც იმდენი უნარი აქვს, რომ საკაცობრიო ჭეშმარიტებანი რუსული ენის შემწეობით შეითვისოს, იმისათვის რა საჭიროა ან ქართული ენა, ან ქართული წიგნი". რასაკვირველია თუ ქართველი, რუსული ან სხვა უცხო ენის მცოდნე, მხოლოდ თავის თავზე ზრუნავს და მხოლოდ თავის თავისთვის უნდა საკაცობრიო ჭეშმარიტება, მაშინ შეიძლება არც ესაჭიროებოდეს მას ქართული ენა და ქართული წიგნი. „შინაურის" მასწავლებელს რომ დავეთანხმოთ და თვითეულმა განათლებულმა ქართველმა რომ ზურგი შეაქციოს ეროვნულ მწიგნობრობას და მეცნიერებას, რა მოჰყვება ამას შედეგად? ხეირიან ქართულ წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, სასწავლებლების და ათასნაირ ეროვნულ კულტურულ დაწესებულებათა უქონლობა, რაც ქართველს ხალხს უვიცობის წყვდიადში ჩააგდებს, ყოვლად ჩამორჩენილ და გაველურებულ ხალხად გახდის, ვინაიდან შეუძლებელია ქართველმა ხალხმა ქართული ენის გარეშე მიიღოს განათლება; ფიზიკურად შეუძლებელია, რომ ერთბაშად დაავიწყებინოთ ქართველ ხალხს თავისი სამშობლო ენა დ მცირე ხნის განმავლობაში იმ ზომამდე გაავარჯიშოთ რუსულში, რომ ამ უკანასკნელის საშუალებით შეათვისოთ ევროპიული კულტურა.

ამიტომ დიდად სავალალო და ანტიპროგრესიულია თვითოეული ინტელიგენტის დაკარგვა ან გადაგვარება არა მარტო ქართველ ერის კეთილდღეობის თვალსაზრისით, არამედ იმავე საკაცობრიო პროგრესის მიხედვით, რომლის სახელითაც დღეს ჩვენში ბევრი მოითხოვს ეროვნულ ელფერის უარყოფას და ანტიკულტურულ მოვლენად მიიცნევს ევროპიულ კულტურის და მეცნიერების ქართულ ნიადაგზე გადმონერგვის ცდას.

ჩვენ კი გვგონია, რომ რაც მეტი იდეიური და საღი ეროვნული პრინციპებით გამსჭვალული ინტელიგენტი იმუშავებს კულტურულ ეროვნულ ნიადაგზე, რაც მეტი სისრულით გავაცნობთ ჩვენ ხალხს განათლებულ ერთა მუშაობის ნაყოფს მისსავე ბუნებრივ ენაზე, რაც უფრო მაღლა ავსწევთ მის თვით ცნობიერებას, მით უფრო ადვილად მოვამზადებთ მას საკაცობრიო იდეალების შესასისხლხორცებლად, მით უფრო ადვილად შევაძლებინებთ თავისი ბუნება სრულიად გაშალოს და თავისი წვლილი შეჰმატოს კაცობრიობას.

ვ. არ ლი.

ცის გუბ.—192 გლეხი, 57 შლიახტელი, 3 კსენდზი, 13 მდაბ. მოქ., სუვალის გუბ.—841 წვრ. მემ. და 31 კსენდზი.

**სახელმწიფო საბჭოს წევრის სიკვდილი.**

**მოსკოვი.** გარდაიცვალა სახელმწიფო საბჭოს წევრი ნიკოლოოზ იასიუნსკი.

**კისლოვდსკი.** კოკოვცევი სოჩში გაემგზავრა.

# უცხოეთი

**პრეზიდენტის არჩევნები.**

ამერიკაში გაცხარებული კამათია: ვინ იყოს პრეზიდენტად. საარჩევნო ასპარეზზე მხოლოდ ორი კანდიდატი იბრძვის; პროგრესისტი რუზველტი და დემოკრატი ვილსონი. რესპუბლიკელების კანდიდატი პრეზიდენტი ტაფტი ჯერ სდუმს, მაგრამ იგი საქმით ჰმოქმედებს. რუზველტი და ვილსონი კი მჭერმეტყველებენ, ამომრჩევლებს რადიკალობით თავს აწონებენ. რუზველტი კვეხულობს თავის რეგლამენტაციას ტრესტების თაობაზე. ვილსონი კიდე უპასუხებს: რეგლამენტაცია ტრესტების სასარგებლოდ გამოდგება და არა მათ ასალაგმავათაო. რესპუბლიკელი, დემოკრატი და პროგრესისტი ერთმანეთს შეებნენ. გამარჯვება ვის დარჩება—ამას მომავალი გვიჩვენებს.

**მეამბოხეთა დახვრეტა.**

ჩინეთში ორი ათასი მხედარი აჯანყდა. გენერალ ჩიმენის განკარგულებით, 250 ჯარის-კაცი დახვრიტეს.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** დღეს ქართულ თეატრში განახლებულად წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის **გამცემი** პიესა. დაიდგმება **ვლ. ალ.—მესხიშვილის** მონაწილეობით და რეჟისორობით. მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალნი დასისა: ელ ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ა. ქიქოძე, თ. გოგოლაშვილი, ი. ზარდალიშვილი, დ. მგალობლიშვილი და სხვანი.

# შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) სოფელ ცხრუკეთის მცხოვრებმა, მღვ. იოსებ ნიკოლოზის ძემ წერეთელმა: ა) სვინაქსარი ტყავზე ნაწერი ხუცურად, ბ) „სამოთხის ყვავილი“ (მხედრული ხელნაწერი), გ) სამღვდელ-მთავრო და დ) რამდენიმე დოკუმენტი.

2) სოფელ ჯარგვენულის მცხოვრებმა სპირიდონ აბულაძემ—„ჟამნი“ ხუცური, ხელ ნაწერ-ნაბეჭდი.

3) ს. დიმის მღვდელმა მიხეილ მაჩიტაძემ: ა) „კურთხევანი“ ხუცური ხელნაწერი და ბ) ორი შავი და 2 ვერცხლის ფული.

4) ლეონტი გრიგოლის ძემ ჩაჩანიძემ (ს. შუქრუთიდან)— ვერცხლის ფული.

5) ვლადიმერ ზურაბის ძემ პუტურიძემ—ოთხი შავი და ორი ვერცხლის ფული.

6) სოფ. ოფჩის მცხოვრებმა თეოდორე ჩარკვიანის ასულმა, ელისაბედმა—ტიბიკონი (მხედრული ხელნაწერი).

7) მელიტონ ჩხეიძემ—ორი სიგელი.

ყველა ეს საზოგადოებას გადმოსცა იუსტ. არ. აბულაძემ.

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

**რედაქტორ-გამომცემელი**
**ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა
(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში: საგარაკო** მატ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ: საფოსტო** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ: სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან: ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათომიდან: ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

**მცხეთიდან: საგარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახ.** № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან: საფ.** № 72/73, დილის 7 ს. 26 ს.

**ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80/81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 ვ. **ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედეალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71. |

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## გემების მიმოსვლა

### საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შევლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის $12^1/_2$ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ $12^1/_2$ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

### სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახნისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის $12^1/_2$ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ.

**ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

**ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ.

**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.

**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ს. 45 წ.

**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.

**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

**მეშედესერიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზი მერკური**“ ტელ. 82.


# განცხადებანი

## ფეხსაცმელები
### თომა დ. ჯანჯღარაშვილის
**მაღაზია-სახელოსნოში.**



მუხრანის ქ. № 2. ყოველნაირი: საკუთ. და პეტერბ. მეხანიკ. ნაწარმოები. 683.

**პეტერბურგის კონსერვატორიაში** სწავლა-დამთავრებული, თავისუფალი ხელოვანი

### ე. გ. ქიქოძისა აძლევს მუსიკის (როიალი) გაკვეთილებს.

სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 11. 651.

## სამკურნალო
### ექიმთა საზოგადოებისა
**მუდმივის საწოლებით.**
### გადავიდა ახალ ბინაზე

მიხეილის ქუჩა, № 49 და რეუტოვის მისახვევი № 2. ტელეფონი № 1026.

**ავადმყოფებს იღებენ:**

**ალაჯანოვი მიხ.**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—ნაშუად. 12—1 ს.

**ვნუკოვი მ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებისა სულით-ავადმყ. ელექტროტერაპტია დილ. 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. $11^1/_2$—$12^1/_2$ სათ.

**შამაში ი. ი.**—ქირურგიულ ავადმყ. 12—1 საათამდე.

სამკურნალოში სწამლობენ ელექტრონითა და მასაჟით. ახდენენ გამოკვლევას მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურსა და ქიმიურს. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი ათი შაური. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებისაგან.

**წამლობა „606“-ით.** 1513

## ვკისრულობ:

1. დაგირავებას და გადაგირავებას უძრავ მამულებისას როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებში.
2. უძრავ ქონებათა სყიდვა-გაყიდვას.
3. მადნეულობის გამოკვლევას და შემუშავებას.
4. ყოველგვარ არზების და პირობის ქაღალდის შედგენას.
5. ხე-ტყის მასალის მყიდველის და გამყიდველის შოვნას. მთხოვნელებს ვიღებ ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე დღისა, დილის თერთმეტის ნახევრიდან 12 საათამდე და საღამოთი ექვსიდან 7 ს.-მდე. **ბინა: ქ. ტფილისი, გოლ. პროსპ.**, სახლი **მანთაშევისა**, სასტუმრო „უნივერსალი“, № 2, ტელეფონი № 499 **იოსებ კირილეს ძე რაზმაძე** 1496

**წიგნის მაღაზია**

### ზ. პ. გრიქუროვისა.

ისყიდება ჩვენი გამოცემანი.

**იოსელიანის**, ლოცვ. ქართ. და რუს გამოცემა მეხუთე 1912 წ —20 კ.
„ სადმრთო ისტ. ძვ. და ახ. აღთქმა გამ. მეშვიდე 1912 წ.—40 კ,
**ქუთათელაძე**, „წყარო“, ანბანი და პირველი საკითხავი წიგ. 25 კ. „წყარო“ წ. II 50 კ.
„ „ ქართული გრამატიკა 40 კ.
„ „ საზოგადო გეოგრაფია ნაწ. 1 30 კ.
**გოგებაშვილის**, ქარტა კავკასიის აქეთი მხარე—60 კ, Русское слово часть 2-я 50 к.
Кикнадзе, учебник географіи Кавказскаго края 30 . იქვე ისყიდება სულებში სა მარეველი სახელმძღვანელოები ქართ. რუს. და სხ ენებზე. მისამართი ფოსტით: Тифлисъ, Кавказская книжная торговля „З. П. Грикурова“, С. И. Грикуровой 6-8.

# ექიმ ნანასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

**„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნაცვახარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. ავახაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. ა. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **ბ. ა. ნ ვახარდიანი.**

## ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварный пер., 2, соб. д. 1231

## სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე სომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამე მან 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და ჰოახლეებს ყოველ დღე, დილის 1—12 ს.-ძდე) მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** 1037.

ЭЛЕКТР. ЭКОНОМН. ЛАМПОЧКИ




ელექტრ, ლამპები „**მეტეორი**“ საუკეთესოდაა ცნობილი.

**იზოგავს**—75% ელექტრ. ძალისას.

**სიმკვიდრე**—უშიშარია შენძრევისაგან.

**ხანგრძლივობა**—3000 საათი ანთია.

კავკასიის წარმომადგენელი და საქარხნო საწყობი: არმენაკ ... და ... ტფილისი, ... № 12—15.

კანტორა კისრულობს ელექტრონის განათებისათვის მართულების გაბმას, ... ზარებისას და სიგნალიზაციისას. იქვე არის ყოველგვარი მასალები ელექტრონისა. 1509

ვაჭრობა-მრეწველობის უწყებაში მყოფი
## ბუხჰალტრიის პრაქტიკული კურსები
და კომერციული ანგარიში
# ი. ფ. კალატნიკოვისა,

(ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 132).

1912—13 წლის სემესტრში ქალ-ვაჟთ შეუძლიანთ მიღების თხოვნა შემოიტანონ და ჩაეწერნენ ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე. მეცადინეობა 15 სექტემბერს დაიწყო.

კურსებზე ორივე სქესის მსმენელნი იძენენ საფუძვლიანსა და სრულად დამთავრებულ მომზადებას, კანტორა ბუხჰალტერიისა და საალებ-მიცემო მიწერ-მოწერის დამოუკიდებლად საწარმოებლად.

კურსებზე შემსვლელნი საფუძვლიანად სწავლობენ: 1. **ბუხჰალტერიას** უბრალოს, ორმაგს, იტალიურს, გერმანულს, ამერიკულსა, ფრანგულსა და ახალ რუსულს (ყველა სისტემის შესასწავლად სავალდებულოა პრაქტიკული მუშაობა) ბ) **ანგარიშების წარმოებას:** საზოგადოდ საალებ-მიცემოს, საბანკოს, საქარხნოს, საზოგადოს, სასოფლო-მეურნეობისას, ქალაქისას და ერობისას. 2. საკომერციო არითმეტიკას, 3. სავაჭრო უფლებას, 4) თამასუქების უფლებას, 5) საალებ-მიცემო მიწერ-მოწერას, 6) ანგარიშს საანგარიშო ჩოთქზე, 7) ლამაზსა და სწორ წერას (კალიგრაფიას), 8) საწერ მანქანის ხმარებას, 9) რუსულ ენას, 10) არითმეტიკას, 11) **უცხო ენებს:** ინგლისურს, ფრანგულსა და გერმანულს, 12) უცხო ენებზე საალებ-მიცემო მიწერ-მოწერას.

**რუსულსა და არითმეტიკის მსმენელთ უფასოდ ასწავლიან.**

მასწავლებლებად მოწვეულნი არიან უმაღლეს სწავლა მიღებული სპეციალისტები. კურსების წესდება და პროგრამა მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ. 1447

ავადმყოფებს და სუსტებს
## „სპერმატინი“

დამზადებულია ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში, ექიმებისა და ფარმაცევტების მეთვალყურეობით. „**სპერმატინი**“ გამოგონება ეკუთვნის დიდებულ ფრანგ პროფესორს ექიმ **ბროუნ-სეკარს.** მან, 76 წლისამ თავის თავზე გამოსცადა ამ წამლის გადამხალისებელი და ჯანის გამმაგრებელი გავლენა.

მას მერე მკურნალებმა დაადასტურეს, რომ „**სპერმატინი**“ უებარი წამალია: მოხუცებულების სისუსტისა, სისხლნაკლებისა მძიმე ავადმყოფობისა, ნერვებ აშლილისა, გონებისა და სხეულის მოქანცულობის, სქესებრ. მოჭარბებისა, ჯანის გატეხისა, დამბალ ციებისა, ძარღვების მოდუნებისა, ხერხემლ. ტვინის გახმობისა, სიდამბლისა, კაცობიდან ჩამოვარდნის, წყალმანკისა, გულისფრიალისა შაქრის ავადმყოფობისა, ქარებისა, ათაშანგისა, ლოთობისა, ყაზზობისა, ქლექისა, ვარდის წყლით წამლობის შედეგისა და სხვ.

1 შუშა ღირს 2 მ. 40 კ. ტაბლეტ—2 მ. 75 კ. ფასდადებითაც შეიძლება დაბარება. აფთიაქებს და საафთ. საწყ.—ფას-დაკლებით. გასაგზავნს დამბარებელი იხდის. იყიდება კავკასიაში მთავარ წარმომადგენელთან—**ი. ახობაძე და ამხ**“. ტფილისი, ლორისმელიქოვის ქუჩა, სახლი № 6, ეზოში. 661

შინაგ. საქმ. სამინისტ. ნებადართ. (1907 წ. № 9696)

## გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა „გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**გამოსულია და იყიდება**

## ნ. შიუკაშვილის პიესა „მემონრობა“,

დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**გამოსულია და იყიდება**

## არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

| | | | |
|---|---|---|---|
| I | ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ | ფასი | 75 კ. |
| II | „ „ჩვენი საზოგადოებრივობა | „ | 80 „ |
| III | „ „ნააზრევი“ | „ | 65 „ |
| IV | „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. | „ | 85 კ. |

მიიღეთ მარიამობისთვის

**შვედური და დელიკატესნი კილკები.**

**თევზის მრეწველნი ძმ. ძებველოვები.** ბოჭკის საუკეთესო ხიზილალა, აგრეთვე მოგვდის ცოცხალი ლოქო და კობრი, |საზანი|

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

1131

ინჟენერი
### ი. ს. პონდოევი,
**ტფილისი.**
ელისაბედის ქ., 164.
ბაქოს ქ. კუთხე.

**ცემენტი**
ასფალტი, უდრონი, ცეცხლის მძლე აგური და თიხა, ლურსმეულობა, „звеклепк“, გულცარიელი აგური და კრამიტი და სხ., საშ. მასალა.

**რკინის კოჭები, საქვაბე რკინები, საკუთხე რკინები, სახურავების რკინები.**
(**შავი და ცინკნარევი**).

ტელეფონი: კანტორისა № 10—93 აგურხანი სა № 11—96.

საშენებელი აგურები საკუთარ აგურხანიდან ვაკეზე 1474

## იმერული შამპანიური ღვინოები,

### ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა ქუთაისში,

„კოლხიდა“ და „თამარა“

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:
1) **ვაგზლის ქუჩაზე. ზ. დ. თოიძის ბაკალეის მაღაზიაში** და
2) **მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.**

**ფასები 1—20 კ. 1 50 მან.** ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. 1166

**ხელოვნურად შეზავებული**
## სამკურნალო და ხილეულობის წყალი
### მიტროფანე ლაღიძე და ამხ-სა.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

**გემო და სუნი საამური აქვს.**

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდ-ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

**ქარხნები იმყოფება: ტფილისში, გოლოვინის პროსპ. № 5 ტელეფონი № 411, ქუთაისში - პუშკინის ქუჩა № 6.**

1407


ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.